06/02/2025

MES 5 25 0000117914

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმი:
ლალი სალდაძე - სკოლის დირექტორი;
ნოდარ ანგურიძე - სკოლის დირექტორის მრჩეველი.

სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლა:
ონისე ცქიტიშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N1 საჯარო სკოლა:
მარინა წამალაიძე - სკოლის დირექტორი;
ნათია კვინიკაძე- სოხაშვილი - სკოლის საინფორმაციო მენეჯერი

სსიპ - ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლა:
მაია კვინიკაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლა:
დავით რაზმიაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისის საჯარო სკოლა:
ზაზა გოგოლაძე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლა:
გიორგი ჭიღლაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის N151 საჯარო სკოლა:
ლია რუხაძე- სკოლის დირექტორი

სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ფოცხოს საჯარო სკოლა:
რევაზი ჯოჯუა - სკოლის დირექტორი

სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლა:
ქეთევან ირომაშვილი-ჯაჭვაძე - სკოლის დირექტორ
ელენე წიკლაური - სკოლის დირექტორის მოადგილე

სსიპ - ქალაქ თბილისის N145 საჯარო სკოლა:
მაია ოსიყმიშვილი -სკოლის დირექტორი

სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლა:
თემურ დანელია - სკოლის დირექტორი

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლა:
ეკატერინე კურტანიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარის საჯარო სკოლა:
მარინა ნანდოშვილი-წიქარიშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლა:
ლილი გვარმიანი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ ახმეტის N2 საჯარო სკოლა:
ეკატერინე პატარკაცაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ ბორჯომის ლიკანის საჯარო სკოლა:
ხათუნა გვიმრაძე-გელაშვილი - სკოლის დირექტორი;
მამუკა ჩადუნელი - სკოლის საქმისმწარმოებელი

სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლა:
თენგიზ მეხეშიძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმი:

ა) ზვიად ბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ია ქურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ბ) ნინო ფსუტური (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკა სიმსივე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) გიორგი ნებიერიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლედი კუთხაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) დიმიტრი პოპოვი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნიკოლოზ ჩუბინიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლიანა კობესაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი(სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლელა მანგოშვილი(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 24 იანვარს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. „სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის N 1597699 ოქმის მეცხრე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
3. „სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის N 1597699 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
4. „სსიპ - ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის N 1597699 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
5. „სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 ნოემბრის N 1607966 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
6. „სსიპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის N 1611764 ოქმის მეშვიდე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
7. „სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის N 1611764 ოქმის მერვე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
8. „სსიპ - ქალაქ თბილისის N151 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის N 1638083 ოქმის მესამე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
9. „სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ფოცხოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის N 1638083 ოქმის მეშვიდე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;

10. „სსიპ - ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის N 1638083 ოქმის მერვე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
11. „სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 05 დეკემბრის N 1647272 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
12. „სსიპ - ქალაქ თბილისის N145 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 05 დეკემბრის N 1647272 ოქმის მეშვიდე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
13. „სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 05 დეკემბრის N 1647272 ოქმის მერვე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
14. „სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 დეკემბრის N 1667698 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
15. „სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 დეკემბრის N 1667698 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
16. „სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 დეკემბრის N 1667698 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
17. „სსიპ - ქალაქ ახმეტის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 27 აგვისტოს N 1022339 ოქმის მეორე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
18. „სსიპ - ქალაქ ბორჯომის ლიკანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 30 აგვისტოს N 1034319 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
19. „სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N 1765579 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ ოქმში ცვლილების საკითხების განხილვას ესაჭიროებოდა შედარებით მცირე დრო, აქედან გამომდინარე, დააყენა შუამდგომლობა აღნიშნული საკითხების საწყის საკითხებად გადმოტანასთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. „სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის N 1597699 ოქმის მეცხრე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
2. „სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის N 1597699 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;

3. „სსიპ - ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის N 1597699 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
4. „სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 ნოემბრის N 1607966 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
5. „სსიპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის N 1611764 ოქმის მეშვიდე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
6. „სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის N 1611764 ოქმის მერვე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
7. „სსიპ - ქალაქ თბილისის N151 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის N 1638083 ოქმის მესამე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
8. „სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ფოცხოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის N 1638083 ოქმის მეშვიდე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
9. „სსიპ - ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის N 1638083 ოქმის მერვე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
10. „სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 05 დეკემბრის N 1647272 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
11. „სსიპ - ქალაქ თბილისის N145 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 05 დეკემბრის N 1647272 ოქმის მეშვიდე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
12. „სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 05 დეკემბრის N 1647272 ოქმის მერვე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
13. „სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 დეკემბრის N 1667698 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
14. „სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 დეკემბრის N 1667698 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
15. „სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 დეკემბრის N 1667698 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
16. „სსიპ - ქალაქ ახმეტის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 27 აგვისტოს N 1022339 ოქმის მეორე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;

17. „სსიპ - ქალაქ ბორჯომის ლიკანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 30 აგვისტოს N 1034319 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
18. „სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N 1765579 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
19. შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ცვლილებებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საბჭოს წევრების მიერ მოხდა 2023-2024 წელს მიღებული გადაწყვეტილებების რევიზია. გამომდინარე იქიდან, რომ საგნობრივი ექსპერტები სკოლის შეფასების პროცესს ახორციელებდნენ დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, წინასწარ შესწავლილი კურიკულუმის საფუძველზე, საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა იმ სკოლებში, სადაც მეორე სტანდარტის მონიტორინგი დანიშნული იყო ადგილზე ვიზიტის ფორმით, შეცვლილიყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტების შესწავლის ფორმით.

1. „სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის N 1597699 ოქმის მეცხრე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 24 ნოემბრის N 1597699 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლას (ს/კ: 244556967) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის ნოემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის ნოემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის N 1597699 ოქმის მეცხრე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის N 1597699 ოქმის მეცხრე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„9. სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფლ ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ, სკოლასთან თანამშრომლობდა ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ელენე კალანდაძე. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის №1 საჯაროსკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 07 და 08 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვემო ქვალონში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 300 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 300 მოსწავლისთვის.
ელენე კალანდაძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩატარდა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ მათი შეფასება შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 3.4 შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის შესახებ დასკვნა. რაც შეეხებოდა მეორე სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფმა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები შეაფასა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, მეოთხე სტანდარტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა, ელენე კალანდაძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა პრეზენტაციის სახით წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად იყო ჩართული სასკოლო ცხოვრების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლა ახორციელებდა სხვადასხვა საკლუბო აქტივობებს. კერძოდ, ფუნქციონირებდა კლუბი „ეკოქვანი“, რომელიც შექმნილი იყო ნიკო კეცხოველის სახელობის პროექტის ფარგლებში და სკოლა იყო ათეულში და დაკავებული ჰქონდა მე-8 ადგილი რეგიონის მასშტაბით. გარდა ამისა, ექსპერტის თქმით, სკოლაში ფუნქციონირებდა კლუბი ,,საქართველოს მომავალი ფერმერები“ (FFG). პარტნიორი ორგანიზაციები იყო GIPA და ორგანიზაცია WORD LINKI, ასევე სკოლის პარტნიორი იყო ჩრდილო ოკონის მხარის უმაღლესი სკოლის ამერიკის მომავალი ფერმერების (FFA) ორგანიზაცია. აღნიშნული პროექტით სკოლა წარდგა ექსპოჯორჯიაში მოწყობილ რესპუბლიკურ გამოფენაზე და სკოლათა შორის კონფერენციაზე ,,მდგრადი განვითარების მიზნები“.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა მეტი დეტალი გაეზიარებინა საბჭოსთვის, თუ როგორ აპირებდა სკოლა სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებას. სკოლის დირექტორმა, ონისე ცქიტიშვილმა განაცხადა, რომ სკოლა აქტიურად მუშაობდა აღნიშნული მიმართულებით, კერძოდ, მათ მიმართეს შესაბამის სამსახურს წერილით და ელოდებოდნენ შემდგომ რეაგირებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლას(ს/კ: 244556967) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის	დაწყებითი	ქართული	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ქვალონი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ქვალონი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ქვალონი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები - მე-2 სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა.“

2. „სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის N 1597699 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 24 ნოემბრის N 1597699 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 236087710) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის ნოემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის ნოემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის N 1597699 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის N 1597699 ოქმის მეხუთე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„5. სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლევან მადათოვმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N1 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 21 და 22 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ წეროვანში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 300 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 300 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი), სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის განცხადებით კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტმა, ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა, ასევე, მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია დაინტერესდა სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვილობით და საგნობრივ ექსპერტს მიმართა თხოვნით გაეზიარებინა საკუთარი მოსაზრება აღნიშნულთან დაკავშირებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, თამარ ოღლიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა

საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, თუმცა ჰქონდა რეაქტივები, რომლებიც იყო დასაწყობებული მოსწავლეებისგან იზოლირებულად. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული რეაქტივებით ცდების ჩატარება უშუალოდ საკლასო ოთახებში ხორციელდებოდა. ექსპერტმა ყურადღება გამახვილა კომპლექსურ დავალებებზე და აღნიშნა, რომ თითოეული კომპლექსური დავალება მოსწავლის საჭიროებებზე იყო მორგებული.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანდა, რომ სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში შეტანილი იყო ცვლილება, მაგრამ არსად ფიქსირდებოდა მიზეზი, თუ რატომ მოხდა აღნიშნული ცვლილება. საბჭოს წევრმა სკოლას მისცა რეკომენდაცია, აღნიშნულ დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანის დროს, ყოველთვის დაეფიქსირებინათ ცვლილების მიზეზი. სკოლის დირექტორმა, მარინა წამალაიძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციებს სკოლა სამომავლოდ აუცილებლად გაითვალისწინებდა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, თუ რა მდგომარეობა იყო მოცემული დროისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმასთან და შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნასთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორმა, მარინა წამალაიძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხებზე მიმდინარეობდა მუშაობა და უახლოეს მომავალში სკოლა მოიპოვებდა დოკუმენტაციას. საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა სკოლაში არსებული ადაპტირებული გარემოთი. მარინა წამალაიძის განცხადებით, მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. გაკეთებული იყო ხარჯთაღრიცხვა და სკოლა ელოდებოდა დაფინანსებას.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს სთხოვა გაეზიარებინა საკუთარი მოსაზრება სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებთან დაკავშირებით. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ნინო თედორაძემ აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებთან დაკავშირებით გაცემული ოყო რეკომენდაციები მასწავლებლებთან ინტერვიუირების დროს. ექსპერტის განცხადებით, სკოლის მასწავლებლებს ჰქონდათ მაღალი მზაობა იმის, რომ განეხორციელებინათ საჭირო ცვლილებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 236087710) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300- ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წეროვანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წეროვანი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წეროვანი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები - მეორე სტანდარტი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების, ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და შესაბამის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის წარმოდგენა.“

3. „სსიპ - ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის N 1597699 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 24 ნოემბრის N 1597699 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლას (ს/კ: 202887661) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის ნოემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად

განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის ნოემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის N 1597699 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის N 1597699 ოქმის მეოთხე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„4. სსიპ - ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან საბჭოს წევრი წარმოადგენდა რესურსცენტრს, რომლის დაქვემდებარებაშიც იყო სსიპ - ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლა. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო მუმლაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 28 და 29 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, გ. სხულუხიას N4-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 775 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 775 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი), სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და

ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის განცხადებით, კომპონენტი 3.4 შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტმა, ნინო მუმლაძემ აღნიშნა, რომ იმ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა, ასევე, მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა, ნინო მუმლაძემ სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ დაწესებულების მმართველობითი სტილი დაფუძნებული იყო დემოკრატიული კულტურის განვითარებაზე. სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები აქტიურად მონაწილეობდნენ სკოლის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. ექსპერტის განცხადებით, სკოლაში V- XII კლასის მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა აერჩიათ და შეესწავლათ იტალიური ენა. ვიზიტის პერიოდში სკოლა მოლაპარაკებებს აწარმოებდა ერთ-ერთ პროფესიულ სასწავლებელთან და გეგმავდა სხვადასხვა სასწავლო პროგრამის განხორციელებას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში ყურადღება ეთმობოდა არაფორმალურ განათლებას. სკოლა გეგმავდა სხვადასხვა სახის პროექტებს, მხიარულ სტარტებს და ლიტერატურულ საღამოებს. აღნიშნული პროექტების დახმარებით ხდებოდა მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში.
ექსპერტმა, ნინო მუმლაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება იყო სრულად ადაპტირებული.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ ყურადღება გაამახვილა სკოლის შენობა-ნაგებობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნებზე და სკოლის დირექტორს სთხოვა გაეზიარებინა აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია. სკოლის დირექტორმა, მაია კვინიკაძემ აღნიშნა, რომ სკოლის მხრიდან წარმოდგენილი იყო „შ.პ.ს სამეცნიერო, საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრიის“ მიერ შედგენილი სკოლის შენობის სტრუქტურული მდგომარეობის შეფასების ანგარიში. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის დეკემბერში სკოლა ელოდებოდა საბოლოო მიღება- ჩაბარების დოკუმენტს. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნასთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ შესაბამისი სამსახურის მიერ შენობის შემოწმების შედეგად დაფიქსირებული იყო რიგი შეუსაბამობები, რომელთა აღმოფხვრაზეც სკოლა მუშაობდა მოცემულ მომენტში. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, რამდენად მარტივი იყო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციების გათვალისწინება. სკოლის დირექტორის, მაია კვინიკაძის განცხადებით დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინება სკოლისთვის არ წარმოადგენდა სირთულეს.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე და აღნიშნა, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებებში, ერთ-ერთი საგნის შემთხვევაში, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები არ შეესაბამებოდა მატრიცებში წარმოდგენილს. სკოლის დირექტორმა, მაია კვინიკაძემ აღნიშნულთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სკოლაში ეწყობოდა კათედრების შეხვედრები და მასწავლებელთა აქტიური ჩართულობით და თანამშრომლობით შეიმუშავებდნენ აღნიშნულ დოკუმენტაციას. დირექტორმა, ასევე, განმარტა, რომ სკოლის მხრიდან საავტორიზაციო განაცხადის გაკეთების დროს ტექნიკური ხარვეზის გამო წარმოდგენილი იყო არასწორი მასალა, რაც ვიზიტის დროს გასწორდა და ექსპერტებს მიეწოდათ სკოლის მხრიდან.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ მათემატიკის საგნობრივ ექსპერტს მიმართა კითხვით, თუ როგორ შეაფასებდა მასწავლებელთა მზაობას, რამდენად ჰქონდათ მათ გააზრებული კურიკულუმში გაწერილი სასწავლო პროცესების დროს განსახორციელებელი საკითხები. მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, ევგენი გუგულაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მასწავლებლებს კომპლექსური დავალებები მოძიებული ჰქონდათ სხვადასხვა წყაროდან.

ექსპერტის განცხადებით, სკოლის მასწავლებლებს ჰქონდათ მაღალი მზაობა იმის, რომ განეხორციელებინათ მათ მიერ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 775 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლას (ს/კ: 202887661) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 775- ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, გ. სხულუხიას N4
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, გ. სხულუხიას N4
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, გ. სხულუხიას N4

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;

მონიტორინგის ფარგლები - მეორე სტანდარტი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე. კერძოდ, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების წარმოდგენა.“

4. „სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 ნოემბრის N 1607966 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 27 ნოემბრის N1607966 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლას (ს/კ: 240890737) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის ნოემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის ნოემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „ სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 ნოემბრის N 1607966 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „ სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 ნოემბრის N 1607966 ოქმის მეექვსე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„6. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს

წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მედეა ქოქრაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 29 და 30 აგვისტოს. ექსპერტის განცხადებით სკოლის შემადგენლობაში შედიოდა სხვადასხვა სოფელში მდებარე ორი შენობა. სოფელ სასირეთში მდებარე სკოლა ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლას დაექვემდებარა 2005 წელს. სკოლის ერთი შენობა მდებარეობდა ქარელის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბრეთის მეურნეობაში, ხოლო მეორე შენობა - სოფელ სასირეთში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 320 მოსწავლე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“; მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“; მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის განცხადებით კომპონენტები 3.4, 3.5 და 3.6 „მეტწილად“ შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ექსპერტმა, მედეა ქოქრაშვილმა, აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს სთხოვა გაეზიარებინა საკუთარი მოსაზრება აღნიშნულთან დაკავშირებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ნელი ნაოჭაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იყო სრულყოფილი. თუმცა შეხვედრაზე გამოიკვეთა მასწავლებელთა მაღალი ჩართულობა და მზაობა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის განხორციელების პერიოდში სასწავლო პროცესი დაწყებული არ იყო. სასწავლო პროცესის დაწყებამდე მასწავლებლები გეგმავდნენ კურიკულუმების შეცვლას და განვითარებას.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშილმა, სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, როგორ ხდებოდა იმ მოსწავლეთა საჭიროებების შეფასება და მათზე მორგებული სასწავლო გეგმების დანერგვა, რომლებიც სასირეთის დაწყვებითი სკოლიდან მეხუთე კლასში სწავლას განაგრძობდნენ ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლაში. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსულებელმა, დავით რაზმიაშვილმა, აღნიშნა, რომ მასწავლებლები მუშაობდნენ, როგორც ბრეთის მეურნეობის, ისე სასირეთის საჯარო სკოლაში. შესაბამისად, მასწავლებლები იცნობდნენ ორივე სკოლის მოსწავლეებს და მოსწავლეებისთვის ადაპტაციის საკითხი არ იყო რთული.

საბჭს წევრი, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა სკოლაში ინტერნეტიზაციის საკითხით და სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, იგეგმებოდა თუ არა სკოლაში აღნიშნული საკითხის მოგვარება უახლოეს მომავალში. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, დავით რაზმიაშვილმა, განაცხადა, რომ მოცემული დროისთვის სკოლაში ინტერნეტის პრობლემა უკვე აღმოფხვრილი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 320 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნები, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირაა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27- ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლას (ს/კ : 240890737) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 320- ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი. სოფელი ბრეთის მეურნეობა. ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი სასირეთი.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბრეთის მეურნეობა.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბრეთის მეურნეობა.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე. კერძოდ: შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების, ასევე შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის და სკოლაში ადაპტირებული გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.“

5. „სსიპ -გიორგი მთაწმინდელის სახელობის ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის N 1611764 ოქმის მეშვიდე ნაწილში ცვლილების საკითხ ის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 28 ნოემბრის N1611764ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისის საჯარო სკოლას (ს/კ: 226157324) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის ნოემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის ნოემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის N 1611764 ოქმის მეშვიდე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ

ტაძრისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის N 1611764 ოქმის მეშვიდე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

“7.სსიპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ , დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ეთერ მეტრეველმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 27 და 28 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფელი ტაძრისში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 400 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 400 მოსწავლისთვის.
ეთერ მეტრეველის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.4, 3,5 და 3.6 კი შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე (სამივე კურიკულუმთან მიმართებით) და მეოთხე სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა რომ კვალიფიციური კადრების მოზიდვის მიზნით, სკოლაში დასაქმებული იყო პროგრამა ,,ასწავლე საქართველოსთვის“ ფარგლებში ბიოლოგიის პედაგოგი.
სკოლას ჰქონდა 6 შესასვლელი, მათ შორის იყო სპორტული და სააქტო დარბაზის შესასვლელი და ყველა მათგანზე მოწყობილი იყო პანდუსი. ექსპერტმა პრეზენტაციის ფარგლებში გააზიარა

სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტომასალა და აღნიშნა რომ სკოლაში იყო სპორტული დარბაზი, ხელოვნურ საფარიანი გარე სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებული იყო სამკითხველო სივრცე. პროექტებში მონაწილეობის შედეგად და შემოწირულობებით განახლებული იყო წიგნადი ფონდი. სკოლაში ასევე იყო შიდა და გარე თავისუფალი რეკრეაციულ სივრცეები, საგამოფენო სივრცე, სადაც განთავსებული იყო მოსწავლეთა ნამუშევრები. სკოლის პირველ სართულზე გამოფენილი იყო კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ საჩუქრად გადაცემული ილუსტრაციები. ექსპერტის განცხადებით სკოლის კედლები მეორე სართულზე იყო დაზიანებული წვიმისგან და საჭიროებდა რეაბილიტაციას. ასევე შენობაში დამონტაჟებული იყო ლიფტის შახტი, მაგრამ არ იყო ლიფტის კაბინა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ ექსპერტს სთხოვა დაეზუსტებინა როდის ჩაუტარდა სკოლას რეაბილიტაცია. ექსპერტმა, ეთერ მეტრეველმა აღნიშნა რომ სკოლა 2010 წელს აშენდა და მას შემდეგ მოხდა მხოლოდ სახურავის შეკეთება. საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა სკოლის მშენებლობისას გათვალისწინებული იყო თუ არა ლიფტის არსებობა და ამჟამად რატომ არ იყო სკოლაში აღნიშნული. სკოლის დირექტორმა, ზაზა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ მას არ ჰქონდა ამ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია, ვინაიდან სკოლას ხელმძღვანელობდა 2011 წლიდან, თუმცა სკოლაში ლიფტი არასდროს არ ყოფილა, რაც შეეხებოდა შახტებს, დალუქული იყო და არ წარმოადგენდა საფრთხეს.

ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა იზოლდა ლომთაძემ, ასევე აღნიშნა, რომ სკოლას მშენებლობიდან ძალიან მალე გაუჩნდა პრობლემები, კერძოდ არ ჰქონდა კლიმატის შესაბამისი გადახურვა და ცენტრალური გათბობა, რაც ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან ერთად ბოლო სამი წლის განმავლობაში ეტაპობრივად გვარდებოდა.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ პირველ, მეორე და მესამე სტანდარტთან დაკავშირებით გაცემული იყო მნიშვნელოვანი რჩევები. საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა სკოლას და სთხოვა დაეზუსტებინა აპირებდა თუ არა აღნიშნული რჩევების გათვალისწინებას, მიუხედავად იმისა რომ არ ატარებდა სავალდებულო ხასიათს. სკოლის დირექტორმა, ზაზა გოგოლაძემ განაცხადა, რომ სკოლა აპირებდა ყველა რჩევისა და რეკომენდაციის გათვალისწინებას, კერძოდ ყველა საჭირო დოკუმენტაციის მოპოვებას და კედლების რესტავრაციას.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლას ურჩია, რომ გადაეხედა და დაერედაქტირებინა მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი და აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ძირითად იყო Word-ის ფაილის სახით და სთხოვა ექსპერტს დაეზუსტებინა იყო თუ არა აღნიშნული დოკუმენტები ბრძანებით დამტკიცებული. ექსპერტმა ეთერ მეტრეველმა დაადასტურა, რომ სკოლამ ექსპერტთა ჯგუფს გაუზიარა ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისის საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის

შესაბამისად, სსიპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისის საჯარო სკოლას(ს/კ: 226157324) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტაძრისი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტაძრისი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტაძრისი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნებისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.”

6. „სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის N 1611764 ოქმის მერვე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 28 ნოემბრის N1611764ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ

გორისის საჯარო სკოლას (ს/კ: 239404088) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის ნოემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის ნოემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის N 1611764 ოქმის მერვე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის N 1611764 ოქმის მერვე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„8.სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ინა ბიწაძემ. ექსპერტმა განაცხადა, სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 14 და 15 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა საჩხერის მუნიციპალიტეტში სოფელ გორისაში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 500 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი ვინაიდან სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებისა და აღწერის

საფუძველზე, ფინანსური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე სკოლას ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო და უზრუნველყო 200 მოსწავლის განათლების მიღება სამივე საფეხურზე.
ინა ბიწაძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.4, და 3.6 კი შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე და მეოთხე სტანდარტს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა რომ სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლა გამოირჩეოდა საინტერესო პროექტების განხორციელებით. მათ შორის იყო საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ ინიცირებული პროექტი „კულტურული მემკვიდრეობა ქვეყნის სავიზიტო ბარათია“. ასევე განხორციელდა პროექტი: „საქართველოს დაცული ტერიტორიები“, სადაც მოსწავლეებმა გამოიყენეს კომპიუტერული ტექნოლოგიები და Minecraft-ის სასწავლო პროგრამა. აღნიშნული პროექტი ემსახურებოდა ისეთი პრიორიტეტული თემის გააქტიურებას, როგორიცაა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, რომლის ფარგლებში მოსწავლეებმა შეძლეს პრობლემის ამოცნობა, გაანალიზება, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა, სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს, თანამედროვე რეალობის სივრცულ დროით ჭრილში გააზრება, ინტერპრეტირება და ა.შ. 2022-2023 სასწავლო წელს მოქალაქეობის მასწავლებლის ხელმძღვანელობით სკოლაში ფუნქციონირებდა სასკოლო კლუბი „მოდინახე“, რომელიც ახორციელებდა გარემოსდაცვით ღონისძიებებს. პოპულარიზაციას უწევდა ჯანსაღი ცხოვრების წესს, ეხმარებოდა ბენეფიციარებს ტყისა და სხვა ბუნებრივი რესურსების მნიშვნელობის გააზრებაში. პროექტის ფარგლებში მათ შესძინეს ძველ ნივთებს ახალი სიცოცხლე, გააცნობიერეს უსაფრთხო გარემოს მნიშვნელობა. აღინიშნა ტყისა და დედამიწის საერთაშორისო დღეები საინტერესო ღონისძიებებით. გორისის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს GDI-ის მიერ გამართულ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღის აღსანიშნავ ღონისძიებათა კონკურსში, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოში, ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. პროექტი ჟიურის მიერ შერჩეულ იქნა ათ (10) საუკეთესო პროექტს შორის და დაფინანსდა.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა რომ სკოლის მიმართ გაცემული იყო მნიშვნელოვანი რჩევები ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან და სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა გაითვალისწინა თუ არა სკოლამ რჩევები ან აპირებდა თუ არა მომავალში გათვალისწინებას. სკოლის დირექტორმა, გიორგი ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ სკოლა სრულად იზიარებდა ექსპერტთა რჩევებს, ამასთან მათ უკვე გაითვალისწინეს რიგი რჩევები, კერძოდ, სკოლაში არაფორმალური განათლების ფარგლებში უკვე ჩამოაყალიბეს მათემატიკის წრეები, ასევე რჩევები ეხებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სოლო ტაქსონომიებს, რომლებიც ასევე იქნა გათვალისწინებული. მესამე სტანდარტთან დაკავშირებითაც დაწყებული იყო პროცესები, კერძოდ, სკოლა ელოდებოდა დასკვნას შენობის მდგრადობის შესახებ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან, ასევე, დაწყებული იყო პროცესები სახანძრო

უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვებისა და სკოლის ვებგვერდზე ინფორმაციის სრულყოფილად ასახვის მიზნით
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლას(ს/კ: 239404088) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელ გორისა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელ გორისა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელ გორისა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;

მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.4 და 3.6 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების წარმოდგენა; ასევე, ვებგვერდზე სრულყოფილი ინფორმაციის ქართულ ენაზე განთავსების მტკიცებულების წარმოდგენა.“

7. „სსიპ - ქალაქ თბილისის N151 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის N 1638083 ოქმის მესამე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 04 დეკემბრის N1638083 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - ქალაქ თბილისის N151 საჯარო სკოლას (ს/კ: 204873565) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის ნოემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის ნოემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ქალაქ თბილისის N151 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის N 1638083 ოქმის მესამე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - ქალაქ თბილისის N151 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის N 1638083 ოქმის მესამე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„3. სსიპ - ქალაქ თბილისის N151 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს

წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 03 და 04 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას II კვ. N61-ში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1200 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1200 მოსწავლისთვის.

ექსპერტის თქმით, ოთხივე სტანდარტი შეფასდა, როგორც, ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა 3.4 და 3.5. კომპონენტები შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა, ასევე, მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტის თქმით, მოსწავლეთა პროფესიული მიდრეკილებებისა და ინტერესების დასადგენად, დაწესებულება შეიმუშავებდა კითხვარებს მოსწავლეებისათვის, ასევე, სტუმრობდნენ სხვადასხვა ორგანიზაციასა თუ საწარმოს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებისა და სამოქალაქო კლუბის ,,ჩარჩოს“ აქტივობების ფარგლებში, იგეგმებოდა საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება. გარდა ამისა, სამოქალაქო კლუბი ,,ჩარჩო“ გეგმავდა ონლაინ ჩართვის ორგანიზებას, სადაც სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები თავიანთი საქმიანობის თავისებურებებს გააცნობდნენ მოსწავლეებს.

ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ სკოლა განთავსებული იყო 9807 კვ/მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ფართზე და შედგებოდა 2 შენობისგან: მთავარი და დამხმარე შენობა. პირველი შენობა იყო ძირითადი და ოთხსართულიანი, სადაც განთავსებული იყო 30 საკლასო ოთახი, ხოლო მეორე ორსართულიანი შენობის პირველ სართულზე განთავსებული იყო მცირე ფართის არასტანდარტული 5 საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზი, საშხაპე, გასახდელი, კვების ბლოკი და 2 საპირფარეშო. მეორე სართულზე ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკა და სააქტო დარბაზი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, აღნიშნა, რომ გარკვეული უზუსტობების გამო, საჭირო იყო დაწესებულებას მეტი ყურადღება მიექცია სასკოლო დოკუმენტაციის შექმნის პროცესისთვის. გარდა ამისა, საბჭოს ამავე წევრმა, სკოლის წარმომადგენლებს მისცა რეკომენდაცია სკოლის ვებ-გვერდის განახლებასთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორმა, ლია რუხაძემ, აღნიშნა, რომ სკოლას დაწყებული ჰქონდა მუშაობა დოკუმენტაციის გაუმჯობესებაზე.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, მიმართა ექსპერტებს, შეეფასებინათ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები. სახელმწიფო ენის საგნობრივმა ექსპერტმა, მარინე

ხუციშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა სრულყოფილი კურიკულუმები, მოსწავლეთა ნამუშევრები და, ასევე,შეფასების გამართული რუბრიკები. გარდა ამისა, მშობლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში, კერძოდ, ისინი გარკვეული დროის განმავლობაში თავიანთი შვილების კლასებში კითხულობდნენ მხატვრულ ლიტერატურას, ასევე, აცნობდნენ საკუთარ პროფესიას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N151 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1200 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ქალაქ თბილისის N151 საჯარო სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N151 საჯარო სკოლას (ს/კ: 204873565) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თბილისი, ვაჟა-ფშაველას II კვ. N61
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თბილისი, ვაჟა-ფშაველას II კვ. N61
3		საშუალო	ქართული	

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			თბილისი, ვაჟა-ფშაველას II კვ. N61

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები - მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე. კერძოდ, დაწესებულებას უნდა წარმოედგინა დასკვნა შენობა-ნაგებობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, ასევე, ქიმიის ლაბორატორიაში დაემონტაჟებინა გამწოვი და უზრუნველეყო ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა.“

8. „სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემოფო ცხოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის N 1638083 ოქმის მეშვიდე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 04 დეკემბრის N1638083 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ფოცხოს საჯარო სკოლას (ს/კ: 239885059) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის ნოემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის ნოემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ფოცხოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის N 1638083 ოქმის მეშვიდე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს

ცვლილება „სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ფოცხოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის N 1638083 ოქმის მეშვიდე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„7. სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ფოცხოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლია გრიგოლიამ.
ექსპერტმა, განაცხადა, რომ სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ფოცხოს საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 03 და 04 ოქტომბერს. მისი თქმით, დაწესებულება მდებარეობდა სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზემო ფოცხოში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 280 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი ვინაიდან სკოლას, ადამიანური და მატერიალური რესურსით შეეძლო საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 100 მოსწავლისთვის.
ლია გრიგოლიას განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩატარდა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასება შეიცვალა. კერძოდ, ოთხივე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა, კომპონენტი 3.4, შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, კითხვით მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს და სთხოვა დაეზუსტებინა, რა კონკრეტული რჩევები გაიცა ექსპერტების მხრიდან სკოლაში ვიზიტის დროს კურიკულუმებთან დაკავშირებით და მოხდა თუ არა სკოლის მიერ მათი გათვალისწინება.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ელენე კურდღელიამ, აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან გადმოგზავნილ პირველად დოკუმენტაციაში წარმოდგენილი კურიკულუმები რიგ შემთხვევებში არ მოიცავდა თემებს, რესურსებს და კომპლექსურ დავალებებს. ექსპერტის განცხადებით ადგილზე ყველა ხარვეზთან დაკავშირებით გაიცა რჩევები, რაც სკოლამ გაითვალისწინა.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა, რამდენი მოსწავლე ჰყავდა ამ ეტაპზე დაწესებულებას და ირიცხებოდა თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. ამასთან, ჰქონდა თუ არა სკოლას პირობები შესაბამისი მომსახურება გაეწია მისთვის. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორმა, რევაზ ჯოჯუამ, აღნიშნა, რომ ამჟამად დაწესებულებაში სწავლობდა 44 მოსწავლე, საიდანაც ერთი იყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე. მისი თქმით, დაწესებულება ითვალისწინებდა მოსწავლეების საუკეთესო ინტერესებს. აქვე, ექსპერტმა, ლია გრიგოლიამ აღნიშნა, რომ სკოლაში მუშაობდა სპეც-მასწავლებელი, დამონტაჟებული იყო ლიფტი, პანდუსი, ასევე, ფუნქციონირებდა რესურს-ოთახი და ადაპტირებული სველი წერტილები.
სკოლის დირექტორმა, რევაზ ჯოჯუამ განაცხადა რომ სკოლის თვითშეფასების ფორმაში დაფიქსირებული იყო ტექნიკური ხარვეზი მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით, კერძოდ 280 მოსწავლის მაგივრად, მოთხოვნილი უნდა ყოფილიყო 100 მოსწავლე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ფოცხოს საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ფოცხოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდაშენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და, ასევე, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები. ამავდროულად, შესაბამის უწყებასთან არ იყო შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. შესაბამისად, მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მან არ მიიჩნია მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ფოცხოს საჯარო სკოლას (ს/კ: 239885059) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელი ზემო ფოცხო
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელი ზემო ფოცხო

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4, და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების, პასუხისმგებელ უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის წარმოდგენა, ასევე სკოლას განესაზღვრა რეკომენდაცია, სასკოლო ბიბლიოთეკის შესაბამისი ლიტერატურით შევსების შესახებ.“

9. „სსიპ - ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლის ავტორიზაციისშესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის N 1638083 ოქმის მერვე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 04 დეკემბრის N1638083 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლას (ს/კ: 235444104) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის ნოემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის ნოემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის N 1638083 ოქმის მერვე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის N 1638083 ოქმის მერვე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„8.სსიპ - ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაია მამისეიშვილმა.
ექსპერტის თქმით, სსიპ - ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25 და 26 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 300 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 300 მოსწავლისთვის.
ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩატარდა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის

უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასება შეიცვალა. კერძოდ, პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი კი შეფასდა, როგორც „ მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კერძოდ, კომპონენტი 3.1 და 3.4 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
მაია მამისეიშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სსიპ- ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლა რამდენიმე მიმართულების მიხედვით წარმოადგენდა საუკეთესო გამოცდილების მქონე სკოლას, კერძოდ: არაფორმალური განათლების განვითარების კუთხით სკოლაში ფუნქციონირებდა ეკო-კლუბი ,,სალხინო“. სკოლა ასევე მონაწილეობდა ნიკო კეცხოველის სახელობის სასკოლო პრემიის კონკურსში და იყო ნახევარფინალისტად წარმოდგენილი. ამასთანავე, სამოქალაქო კლუბი ჩართული იყო USAID- სამოქალაქო განათლების განვითარების პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც, მცირე საგრანტო პროექტების ორგანიზებისას ხორციელდებოდა ასევე ისეთი პროექტები, როგორებიც იყო: ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვა“, ,,არასრულწლოვანთა დანაშაული და პრევენცია“, ,,ჯანსაღი ცხოვრების წესი“. ექსპერტის თქმით, დაწესებულებაში, ასევე, ფუნქციონირებდა, ,,ჯვრულით ქარგვის“ წრე. პროფესიული პროგრამებით დაინტერესების მიზნით, სკოლა თანამშრომლობდა რამდენიმე დაწესებულებასთან, კერძოდ, სოფელ ტალერში არსებულ ქარხანა ,,ალებურთან“, მარტვილის იუსტიციის სახლთან, ადგილობრივ მეფუტკრე ფერმერებთან, სენაკის კადეტთა ლიცეუმთან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო სტაჟირების უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ კონფერენციაში ინგლისურ ენაზე მომხსენებლად წარსდგა აღნიშნული სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე. გარდა ამისა, სკოლა 2022 წლის ფინალისტი გახდა ,,მწვანე ჯილდოს“ მოპოვების კონკურსში. სკოლის მოსწავლეები აგრეთვე იმარჯვებდნენ სხვადასხვა სასკოლო ოლიმპიადაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ სკოლას დოკუმენტაციის სახით, წარმოდგენილი ჰქონდა მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის აღწერა, რომელიც მოიცავდა რიგ ხარვეზებს და საჭიროებდა გადახედვას.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ სკოლის
მიერ მოწოდებული დოკუმენტი მოსწავლის/პერსონალის/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის-კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ მოიცავდა არასწორ ინფორმაციას სკოლის შესახებ. ამდენად, მან გასცა რჩევა აღნიშნული დოკუმენტის რედაქტირებასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლას (ს/კ: 235444104) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელი სალხინო
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელი სალხინო
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელი სალხინო

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით.
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.1, და 3.4 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის და საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმის წარმოდგენა, ასევე სკოლას უნდა უზრუნველეყო კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე ექიმის აყვანა.“

10. „სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 05 დეკემბრის N 1647272 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 05 დეკემბრის N1647272 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლას (ს/კ: 227752759) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის ნოემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის ნოემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 05 დეკემბრის N 1647272 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 05 დეკემბრის N 1647272 ოქმის მეოთხე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„4. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ნადარეიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი

განხორციელდა 2023 წლის 09 და 10 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფელ კალაურში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად,დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 450 მოსწავლე. ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 222 მოსწავლე.

ექსპერტის თქმით, რომ პირველი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია), მეორე სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი) და მეოთხე სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", ხოლო მესამე სტანდარტი (სასწავლოპროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, ვინაიდან კომპონენტები 3.4 და 3.6 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მაკა ნადარეიშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ მეტწილად შეფასებულ ინდიკატორთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციებიაღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და ყურადღება გაამახვილა ინკლუზიურ გარემოსა და მოსწავლეთა მხარდაჭერის საკითხზე. მისი განცხადებით, სკოლამ დაწყებით საფეხურზე წარმატებით განახორციელა რემედიაციის პროგრამა მათემატიკის მიმართულებით. ასევე აწყობდა ვიზიტებს პროფესიულ სასწავლებლებში და აქტიურად ზრუნავდა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა, როდის და ვის მიერ ჩატარდა სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ეთერ ქევხიშვილმააღნიშნა, რომ სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდასამშენებლო სარემონტო კომპანია MGF- ის მიერ სკოლის დირექტორის მ/შ - მ დასძინა, რომ აღნიშნული სამუშაოები დასრულდა 2021 წლის ბოლოს, ხოლო მიღება - ჩაბარების აქტი 2022 წლის 14 თებერვლით თარიღდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 450 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27- ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლას (ს/კ :

227752759) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კალაური
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კალაური
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კალაური

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები)

საბჭომ 3.4 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ნოემბრამდე. კერძოდ: შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის, შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, სკოლის მდგრადობის სტრუქტურული მდგომარეობის შეფასების ანგარიშის, და ვებ- გვერდზე

ინფორმაციის სრულად ასახვის უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.“

11. „სსიპ - ქალაქ თბილისის N145 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 05 დეკემბრის N 1647272 ოქმის მეშვიდე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 05 დეკემბრის N1647272 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - ქალაქ თბილისის N145 საჯარო სკოლას (ს/კ: 208145265) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის ნოემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის ნოემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ქალაქ თბილისის N145 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 05 დეკემბრის N 1647272 ოქმის მეშვიდე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - ქალაქ თბილისის N145 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 05 დეკემბრის N 1647272 ოქმის მეშვიდე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**7. სსიპ - ქალაქ თბილისის N145 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ

თბილისის N145 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 04 და 05 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ჯავახეთის II შესახვევი N10-ში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1700 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1700 მოსწავლისთვის.

თამარ მიდელაშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასება შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 1.2 შეფასდა მეტწილ შესაბამისად. მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან კომპონენტები 3.4, 3.5 და 3.6 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე და მეოთხე სტანდარტს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი ან ნაწილობრივი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა სკოლი ინფრასტრუქტურაზე და აღნიშნა, რომ იგი შესაბამისობაში იყო სტანდარტის მოთხოვნებთან, მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით კი სკოლა თანამშრომლობდა სოხუმის უნივერსიტეტთან, შპს ევროპის უნივერსიტეტთან, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო უნივერსიტეტსა და საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის ცენტრთან. სკოლაში ასევე შემუშავებული იყო ახალი მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის პოლიტიკა, მოსწავლეთა საკონსულტაციო სისტემა, ასევე აქტიურად მიმდინარეობდა საკლუბო საქმიანობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სთხოვა ექსპერტებს მეტი დეტალი წარმოედგინათ სკოლის ინკლუზიურ გარემოსთან დაკავშირებით.

ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა შესაბამისი პირობები ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისათვის, ვინაიდან სკოლაში არ არსებობდა პანდუსები და იზოლირებული ადაპტირებული სველი წერტილები.

შალვა მეკრავიშვილმა სკოლის წარმომადგენელს სთხოვა, დაეზუსტებინა აპირებდა თუ არა სკოლა ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას.

სკოლის დირექტორმა, მაია ოსიყმიშვილმა აღნიშნა, რომ მათ უკვე მიმართეს სსიპ სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს და ელოდებოდნენ შესაბამის რეაგირებას.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, სთხოვა სკოლის დირექტორს, წარმოედგინა ინფორმაცია შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით.

მაია ოსიყმიშვილმა საბჭოს წევრებს გაუზიარა დასკვნა,რომელშიც ფიქსირდებოდა, რომ შენობის ტექნიკური მდგომარეობა იყო დამაკმაყოფილებელი.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა ციფრული განვითარების გეგმა, რომელშიც ასახული იყო სამომავლოდ სკოლის მიერ

ლაბორატორიის შექმნის საკითხი. საბჭოს წევრმა სკოლის დირექტორს სთხოვა დაეზუსტებინა, მუშაობდა თუ არა სკოლა ამ მიმართულებით.
მაია ოსიყმიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში გამოყოფილი იყო დამატებითი კლასი, სადაც უნდა განთავსებულიყო ახალი ლეპტოპები, რომელსაც სკოლა მიიღებდა უახლოეს მომავალში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
სსიპ - ქალაქ თბილისის N145 საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1700-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N145 საჯარო სკოლას (ს/კ: 208145265) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1700-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი ჯავახეთის II შესახვევი N10
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი ჯავახეთის II შესახვევი N10
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი ჯავახეთის II შესახვევი N10

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4, და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.“

12. „სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 05 დეკემბრის N 1647272 ოქმის მერვე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 05 დეკემბრის N1647272 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლას (ს/კ: 235444257) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის ნოემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის ნოემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 05 დეკემბრის N 1647272 ოქმის მერვე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 05 დეკემბრის N 1647272 ოქმის მერვე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„8. სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან რეხვიაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 24 და 25 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა მარტვილში, სოფელ ნაგებერაოში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 120 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 120 მოსწავლისთვის.

ქეთევან რეხვიაშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ სურათი შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე და მეოთხე სტანდარტებს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი ან ნაწილობრივი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები, ხოლო აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლა დიდ ყურადღებას აქცევდა მოსწავლეთა დამოუკიდებელ და კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქეების აღზრდას, ასევე, ცხოვრების

ჯანსაღი წესის დამკვიდრებას მოსწავლეთა ცხოვრებაში. ამ მიმართულებით სკოლა აქტიურად მუშაობდა პროექტების განხორციელების კუთხით. სკოლაში აგრეთვე აქცენტები კეთდებოდა არაფორმალურ განათლებაზე, რომლის ფარგლებშიც . მიმდინარე ეტაპზე ფუნქციონირებდა ორი კლუბი: კინომოყვარულთა და წიგნიერთა. სკოლას ჰქონდა თანამედროვე სპორტული დარბაზი შესაბამისი სპორტული აღჭურვილობით. ამ მხრივ ტარდებოდა მრავალი სპორტული ღონისძიება, მათ შორის მხიარული სტარტები და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და საქართველოს რაგბის კავშირის, რაგბის ასოციაციის ერთობლივი პროექტი ,,ჩაერთე რაგბიში". მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სპორტულ ღონისძიებებში. სკოლაში ჩატარდა ,,სასკოლო რაგბის ფესტივალი 2023". ფესტივალმა შეაჯამა პროექტის ,,ჩაერთე რაგბიში" ერთი წლის მუშაობა. მასში ნაგებერაოს სკოლის მოსწავლეების გარდა მონაწილეობდნენ სხვა სკოლის მოსწავლეებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, სკოლის დირექტორს მისცა რეკომენდაცია, რომ სკოლის შინაგანაწესი საჭიროებდა გადახედვასა და კორექტირებას, ვინაიდან მოცემული დოკუმენტი შეიცავდა გარკვეულ ხარვეზებს, კერძოდ ვაკანსიის გამოცხადებისა და შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებამდე წარსადგენი დოკუმენტაციის მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა ასევე რეკომენდაცია თანამშრომელთა შერჩევის წესის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, რადგან იგი არ იყო კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა, ბოლო პერიოდში როდის ჩატარდა სკოლის რეაბილიტაცია და არსებობდა თუ არა აღნიშნულის დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების დოკუმენტი.

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, თემურ დანელიამ, განაცხადა, რომ სკოლა იყო ახალი აშენებული და ექსპლუატაციაში შევიდა 2019 წელს, ასევე სკოლა ფლობდა მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციას.

ეკატერინე კვირიკაშვილმა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს სთხოვა, დაეზუსტებინა, იყო თუ არა სკოლის სამოქმედო გეგმაში ასახული შენობის მოვლა-პატრონობისთვის საჭირო ხარჯები.

თემურ დანელიამ დაადასტურა, რომ მათ განსაზღვრული ჰქონდათ ხარჯები აღნიშნული საკითხის უზრუნველყოფისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ, მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რიგ შემთხვევაში კურიკულუმები მოიცავდა გარკვეულ ხარვეზებს. კერძოდ, მაშინ, როდესაც გეოგრაფიის კურიკულუმი მეტ-ნაკლებად სრულყოფილად იყო წარმოდგენილი, ისტორიის შემთხვევაში იგი იყო ფრაგმენტული და მექანიკური. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სკოლის წარმომადგენელს დაეზუსტებინა, ხდებოდა თუ არა კათედრებს შორის ინფორმაციის გაცვლა.

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, აღნიშნა რომ კათედრები უზიარებდნენ საკუთარ გამოცდილებას ერთმანეთს, ასევე მოხდა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციებისა და დასკვნის განხილვა და ხარვეზების გამოსწორება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლას (ს/კ: 235444257) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მარტვილი სოფელი ნაგებერაო
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მარტვილი სოფელი ნაგებერაო
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	მარტვილი სოფელი ნაგებერაო

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები)

საბჭომ 3.4, და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.“

13. „სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 დეკემბრის N 1667698 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 07 დეკემბრის N1667698 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლას (ს/კ: 232550619) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის ნოემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის ნოემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 დეკემბრის N 1667698 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 დეკემბრის N 1667698 ოქმის მეექვსე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„6. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ

წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნატალია ბეიტრიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 24 და 25 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვემო გომში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 150 მოსწავლე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის განცხადებით კომპონენტები 3.1 და 3.4 „მეტწილად“ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.

ექსპერტმა, ნატალია ბეიტრიშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა, ნატალია ბეიტრიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში შესვლისთანავე იგრძნობოდა მზრუნველი გარემო. სკოლა გამოირჩეოდა მაღალი სანდოობით და კვალიფიციური კადრებით. ექსპერტის განცხადებით, სკოლა იყო სრულად ადაპტირებული, როგორც პანდუსით, ისე ლიფტით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა ყუთი - „ჩემი ხმა“, რომლის დახმარებითაც სკოლის ნებისმიერ მოსწავლეს და მშობელს ჰქონდა შესაძლებლობა საკუთარი მოსაზრება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, მიეტანა დირექციამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, რატომ მოხდა სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და სახელმწიფო ენის კათედრების გაერთიანება. სკოლის დირექტორმა, ეკატერინე კურტანიძემ აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით სკოლაში მხოლოდ ორი მასწავლებელი იყო დასაქმებული და თანამშრომლობის გაზრდის მიზნით სკოლამ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ორი კათედრის გაერთიანების თაობაზე. საბჭოს წევრი ზვიად გოგუაძე დაინტერესდა რომელი საგნის სპეციალისტი ასწავლიდა სამოქალაქო განათლებას. სკოლის დირექტორის განცხადებით სკოლაში აღნიშნულ საგანს სამოქალაქო განათლების მიმართულებით სერტიფიცირებული მასწავლებელი ასწავლიდა. ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ კათედრების გაერთიანება ხდება მაშინ, როდესაც კათედრაზე მხოლოდ ერთი ადამიანია და სკოლას მისცა რეკომენდაცია აღნიშნულის გათვალისწინებასთან დაკავშირებით. საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა რაში გამოიხატებოდა აღნიშნული კათედრების თანამშრომლობა. სკოლის დირექტორის განმარტებით მასწავლებლები ახორციელებდნენ საერთო პროექტებს.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა ყურადღება გაამახვილა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ პრეზენტაციის დროს წარმოდგენილ ფოტო - მასალაზე, სადაც ჩანდა რომ სკოლის შენობაში არსებული კიბეები მოხატული იყო სხვადასხვა მათემატიკური

ფორმულებით. საბჭოს წევრმა სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, ვისი იდეით და ვის მიერ განხორციელდა აღნიშნული. სკოლის დირექტორმა ეკატერინე კურტანიძემ აღნიშნა, რომ იდეა ეკუთვნოდა სკოლის ყოფილ დირექტორს, რომლის მონდომებით და სკოლის ხელოვნების მასწავლებლის ჩართულობით მოხდა სკოლის კიბეების შემოქმედებითად მოხატვა.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ მდგრადობის დოკუმენტზე და სკოლას მიმართა კითხვით ჰქონდა თუ არა შემუშავებული რაიმე გეგმა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების გამოსწორების მიზნით. სკოლის დირექტორის განმარტებით აღნიშნული პრობლემა მოცემული დროისთვის ნაწილობრივ აღმოფხვრილი იყო სამშენებლო კომპანიის მიერ. საკითხის სრულად მოგვარებას სკოლა უახლოეს მომავალში გეგმავდა.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები საჭიროებდა დახვეწას და განვითარებას და სკოლას მისცა რეკომენდაცია აღნიშნულის გათვალისწინებასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27- ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლას (ს/კ : 232550619) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150 - ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვემო გომი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვემო გომი
3		საშუალო	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			სოფელი ქვემო გომი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი : 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა : ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები : სტანდარტი 2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.1 და 3.4 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე. კერძოდ: შენობა-ნაგებობის სახანძრო - უსაფრთხოების შესახებ დასკვნა და პერსონალის პირად საქმეებში გასათავსებელი ცნობების: სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ და ნასამართლეობის შესახებ, წარმოდგენა.“

14. „სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 დეკემბრის N 1667698 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 07 დეკემბრის N1667698 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარის საჯარო სკოლას (ს/კ: 233137815) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის ნოემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის ნოემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 დეკემბრის N 1667698 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს

ცვლილება „სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 დეკემბრის N 1667698 ოქმის მეხუთე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„5. სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 12 და 13 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჰერეთისკარში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 150 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მე-2 სტანდარტის (სასკოლო კურიკულუმი) დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისა შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. ექსპერტის განცხადებით საბაზო და საშუალო საფეხურზე კომპონენტი 2.2 „მეტწილად“ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს. ასევე „მეტწილად“ შესაბამისი იყო კომპონენტი 3.4.
ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში ხშირად ტარდებოდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები. ექსპერტის განცხადებით სკოლა იყო სრულად ადაპტირებული როგორც პანდუსებით, ისე ლიფტით.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ სკოლის მხრიდან წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ბევრი იყო მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერების ბრძანება. ზვიად გოგუაძემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, ერთხელ მაინც თუ ჰქონდა სკოლას

მიმართვიანობა სოციალურ სამსახურთან. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში არსებობდა აღნიშნული პრაქტიკა და სკოლას ჰქონდა მიმართვიანობა სოციალურ სამსახურთან ყველა ასეთი შემთხვევის დროს.
საბჭოს წევრმა შალვა მეკრავიშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნის თანახმად სკოლას ჰქონდა საკადრო პრობლემები. კერძოდ, არ ჰყავდა მასწავლებლები სხვადასხვა საგანში. საბჭოს წევრმა შალვა მეკრავიშვილმა სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, თუ ჰქონდა აღნიშნულთან დაკავშირებით გეგმა. სკოლის დირექტორმა, მარინე ნანდოშვილმა აღნიშნა, რომ დასახელებული პრობლემა მოცემული დროისთვის უკვე აღმოფხვრილი იყო. სკოლას ჰქონდა ვაკანსია მუსიკისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლის ვაკანსიაზე და მასწავლებელი ორივე პოზიციისთვის უკვე შერჩეული იყო.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს მიმართა კითხვით, იკვეთებოდა თუ არა კურიკულუმებში ლაბორატორიის საჭიროება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ლიანა ქოქიაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ნათლად ჩანდა ლაბორატორიების საჭიროება. კურიკულუმებში მოცემული იყო სხვადასხვა აქტივობები და კვლევები, რომლებიც საჭიროებდა სკოლაში ლაბორატორიის არსებობას.
სკოლის დირექტორმა მარინა ნანდოშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას შესაბამის სამსახურთან ჰქონდა მიწერილობა ვირტუალურ ლაბორატორიასთან დაკავშირებით და მოცემული დროისთვის სკოლა ელოდებოდა აღნიშნულის დაკმაყოფილებას. სკოლის დირექტორის განცხადებით სკოლა მონაწილეობდა ერთ-ერთ პროექტში, რომელის ფარგლებშიც მიღწეული წარმატების შემთხვევაში იგეგმებოდა ლაბორატორიის განახლება. სკოლის დირექტორმა ხაზი გაუსვა მოსწავლეთა ჩართულობას და აღნიშნა, რომ სკოლაში მოსწავლეების ხელით აქტიურად იქმნებოდა სხვადასხვა სახის რესურსი.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27- ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარის საჯარო სკოლას (ს/კ : 233137815) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150- ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

				(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჰერეთისკარი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჰერეთისკარი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჰერეთისკარი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი : 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა : ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები : სტანდარტი 2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე. კერძოდ: შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და შენობა - ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის წამროდგენა.“

15. „სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 დეკემბრის N 1667698 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 07 დეკემბრის N1667698 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლას (ს/კ: 235894476) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის ნოემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის ნოემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 დეკემბრის N 1667698 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 დეკემბრის N 1667698 ოქმის მეოთხე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„4. სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 07 და 08 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფელ ცხუმარში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 150 მოსწავლეს. ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე, შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 100 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ 1-ლი და მე-4 სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 სტანდარტი (სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა) შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, რადგან კომპონენტი 2.2 (კურიკულუმების განხორციელება) შეფასდა მეტწილად, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით, ვინაიდან 3.1 (პერსონალის მართვა), 3.4 (ადამიანებისა და პროცესების

უსაფრთხოება), 3.5 (მატერიალური რესურები და ინფრასტრუქტურა) და 3.6 (საინფორმაციო რესურსები) კომპონენტები შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა განმარტა, რომ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტი, პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები და დამტკიცების ბრძანება, ასევე ექთნის აყვანის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. გარდა ამისა, სკოლამ წარმოადგინა შენობის მდგრადობის დოკუმენტი, რომელშიც ასახული იყო, რომ სკოლის სასწავლო კორპუსის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი და ექსპლუატაციისთვის უსაფრთხო იყო, თუმცა სკოლის სპორტული დარბაზის ტექნიკური მდგომარეობა გახლდათ არადამაკმაყოფილებელი, საჭიროებდა გამაგრება-გაძლიერებით სამუშაოებს, თუმცა შენობის დაზიანებათა და ფიზიკური ცვეთის გათვალისწინებით, მისი აღდგენა არ იყო მიზანშეწონილი. სკოლას ექსპერტთა მხრიდან, მიეცა რეკომენდაცია, რომ სპორტული დარბაზი სპორტული აქტივობებისთვის არ გამოეყენებინა.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლას (ს/კ: 235894476) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1		დაწყებითი	ქართული	მესტია, სოფელი ცხუმარი

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მესტია, სოფელი ცხუმარი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	მესტია, სოფელი ცხუმარი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან; **მონიტორინგის განხორციელების ფორმა -** ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა; **მონიტორინგის ფარგლები -** მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.1, 3,4, 3.5 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა 2025 წლის ნოემბრამდე, კერძოდ 3.1 კომპონენტთან მიმართებით „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის №463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ 2020 წლის შემდგომ დასაქმებული პერსონალისთვის.
ასევე, სკოლამ უნდა განსაზღვროს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში (ბრძანება N41, 06.09.2023 წ) აღნიშნული ცნობების წარმოდგენის ვალდებულება; უზრუნველყოს ტექნიკური პერსონალის პირადი საქმეების მოწესრიგება; 3.4 კომპონენტთან მიმართებით, წარმოადგინოს ვიდეო სამეთვალყურეო კამერების დამატების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, უფლებამოსილ ორგანოსთან/ პირთან შეთანხმებული სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. 3.5 კომპონენტთან დაკავშირებით უზრნველყოს სკოლის შშმ პირთათვის სრულად ადაპტირების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. 3.6. კომპონენტთან მიმართები კი ვებგვერდის გამართული ფუნქციონირება და სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის სრულად განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. გარდა ამისა, სპორტული დარბაზის მოწესრიგება სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად.“

16. „სსიპ - ქალაქ ახმეტის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 27 აგვისტოს N 1022339 ოქმის მეორე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2024 წლის 27 აგვისტოს N1022339 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - ქალაქ ახმეტის N2 საჯარო სკოლას (ს/კ: 224628204) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის აგვისტოდან

დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის აგვისტოდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ქალაქ ახმეტის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 27 აგვისტოს N 1022339 ოქმის მეორე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - ქალაქ ახმეტის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 27 აგვისტოს N 1022339 ოქმის მეორე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„2. სსიპ-ქალაქ ახმეტის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თინათინ ალავიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ახმეტის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 27 და 28 ივნისს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ახმეტაში, ყაზბეგის ქუჩა N 35-ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 800 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 800- მოსწავლისთვის.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და

მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 სტანდარტის (სასკოლო კურიკულუმი) დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასებული იყო როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები კი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომლის მოთხოვნაც ”მეტწილად“ იყო დაკმაყოფილებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ასევე, დასკვნა მოიცავდა ექსპერტთა მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ ორიენტირებული იყო განვითარებაზე, გამოირჩეოდა მაღალი თანამშრომლობითი კულტურითა და გაზიარებული პასუხისმგებლობებით, სკოლა ასევე საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობდა პროფესიული განათლების პროგრამებს და ყურადღებას უთმობდა არაფორმალურ განათლებას, საგანმანათლებლო თუ სოციალურ პროექტებს.
ექსპერტმა ასევე გააზიარა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულება საჭიროებდა სარემონტო სამუშაოებს, თუმცა, არსებული ინვენტარი იყო მოვლილი და სუფთა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მისია არ იყო ენობრივად გამართული და მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, გამოესწორებინათ აღნიშნული. საბჭოს წევრმა, ასევე მიმართა ექსპერტებს, წარმოედგინათ მეტი დეტალი მეორე სტანდარტის შეფასებასთან მიმართებით.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ლელა კაკაშვილმა, განაცხადა, რომ მეორე სტანდარტში ფიქსირდებოდა ხარვეზები, რასთან დაკავშირებითაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რჩევები და რეკომენდაციები, როგორც ზეპირსიტყვიერად, ასევე რიგი მათგანი დაფიქსირებული იყო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაშიც. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მეთორმეტე კლასზე, სადაც გარკვეული კურიკულუმები არ იყო წარმოდგენილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ქალაქ ახმეტის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:45
დასრულების დრო: 16:55

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად, სსიპ-ქალაქ ახმეტის N2 საჯარო სკოლას (ს/კ:224628204) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ახმეტა, ყაზბეგის ქუჩა N 35
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ახმეტა, ყაზბეგის ქუჩა N 35
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ახმეტა, ყაზბეგის ქუჩა N 35

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:
საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის აგვისტოში 3.4 კომპონენტთან მიმართებით, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის აგვისტოდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები - მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტი.“

17. „სსიპ - ქალაქ ბორჯომის ლიკანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 30 აგვისტოს N 1034319 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2024 წლის 30 აგვისტოს N1034319 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - ქალაქ ბორჯომის ლიკანის საჯარო სკოლას (ს/კ: 226157397) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის აგვისტოდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის აგვისტოდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ქალაქ ბორჯომის ლიკანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 30 აგვისტოს N 1034319 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - ქალაქ ბორჯომის ლიკანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 30 აგვისტოს N 1034319 ოქმის მეოთხე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

"4. სსიპ - ქალაქ ბორჯომის ლიკანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ინა ბიწაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ბორჯომის ლიკანის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 20 და 21 ივნისს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ბორჯომში, მესხეთის ქუჩა N89-ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით და საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 70 . აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 70 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ინა ბიწაძემ ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობდა ბორჯომისა და ბაკურიანის მუნიციპალიტეტის სკოლებთან და ადგილობრივ ორგანიზაციებთან. 2023-2024 სასწავლო წელს, სსიპ-ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვიბისისა და სსიპ-ქალაქ ბორჯომის ლიკანის საჯარო სკოლებმა ერთობლივად დაგეგმეს და განახორციელეს პროექტი „მე, ჩვენ მშვიდობიანი თანაარსებობისთვის“, ასევე, ექსპერტის თქმით, ამავე სკოლასა და ბორჯომის ახალგაზრდულ ტრენინგ ცენტრთან თანამშრომლობით განხორციელდა პროექტი, რომელიც უკავშირდებოდა ეკოლოგიურ პრობლემებს.

ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“; მე-2 სტანდარტის საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით; მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი, შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა კეთილმოწყობილი გარემო, რესურს-ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, სამედიცინო კაბინეტი, ბიბლიოთეკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რომელიც საჭიროებდა განახლებას.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ ისტორიის საგნობრივ კურიკულუმებში ფიქსირდებოდა გარკვეული უზუსტობები და მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს საბჭოსთვის მეტი დეტალის გასაცნობად.

ექსპერტის, ინა ბიწაძის განმარტებით, ზემოაღნიშნული მიმართულებებით ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული იყო რჩევები, რომელიც დეტალურად იყო აღწერილი სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ნინო თედორაძემ, განმარტა, რომ თავდაპირველ საგნობრივ კურიკულუმებსა და განახლებულ კურიკულუმებში შეინიშნებოდა ბევრი ხარვეზი, რასთან დაკავშირებითაც გაიცა რჩევები და რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ზემოაღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით თუ ჰქონდა გადადგმული გარკვეული ნაბიჯები და როგორი იყო სკოლის მზაობა.

სკოლის დირექტორის, ხათუნა გვიმრაძე-გელაშვილის განმარტებით, დასკვნის პროექტის შესწავლის შემდგომ პედაგოგებმა დაიწყეს აღნიშნულ საკითხებზე მუშაობა, გარდა ამისა სკოლა გეგმავდა გარე კონსულტაციების გავლას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბორჯომის ლიკანის საჯარო საჯარო სკოლისავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 70 - ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 18:25
დასრულების დრო: 18:30

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ბორჯომის ლიკანის საჯარო სკოლას (ს/კ: 226157397) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 70-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. ბორჯომი, მესხეთის ქუჩა N89
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. ბორჯომი, მესხეთის ქუჩა N89

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის აგვისტოდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები - მე-2 (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:
საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის აგვისტოში 3.5 კომპონენტთან მიმართებით, ადაპტირებული სველი წერტილისა და პირველ სართულზე შესასვლელი პანდუსის მოაჯირის მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა ცენტრში."

18. „სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N 1765579 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 26 დეკემბრის N1765579 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლას (ს/კ: 248053751) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის დეკემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N 1765579 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N 1765579 ოქმის მეოთხე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„4. სსიპ -ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა

დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლია ჯალაღონიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლის ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 30 და 31 ოქტომბერს. სკოლას ჰქონდა სამი სასწავლო კორპუსი, რომელიც მდებარეობდა ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო და ქვემო ქედლებში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 150 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 150 მოსწავლისთვის.
ლია ჯალაღონიამ განმარტა, რომ 1-ლი და მე-4 სტანდარტები შეფასდა სრული შესაბამისობით, მე-2 სტანდარტი შეფასდა მეტწილად, ვინაიდან კომპონენტი 2.2 (კურიკულუმების განხორციელება) შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისად, ვინაიდან კომპონენტები 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება), 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტქურტურა) და 3.6 (საინფორმაციო რესურსები) შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
ლია ჯალაღონიამ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე-11
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლას (ს/კ: 248053751) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმ	ზოგადსაგანმა	

	პროგრამის სახელწოდება	ანათლებლო პროგრამის საფეხური	ნათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ქედლები, ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ქედლები ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო ქედლები
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ქედლები
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ქედლები

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან; **მონიტორინგის განხორციელების ფორმა** - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა; **მონიტორინგის ფარგლები** - მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის დეკემბრამდე. კერძოდ, ადაპტირებული გარემოსა და შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ცენტრში წარმოდგენა, ასევე სკოლას უნდა უზრუნველეყო ვებგვერდის შექმნა.“

19. შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 23 და 24 ივლისს, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N809810 ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.
ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია); მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა); მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა ისაუბრა გამოვლენილი ხარვეზების შესახებ და აღნიშნა, რომ 1-ელ სტანდარტთან მიმართებით, სკოლის მიერ სტანდარტის N1.2.2.2 ინდიკატორით დადგენილი მოთხოვნა დარღვეული იყო, კერძოდ სკოლის დირექტორის 2023 წლის 23 ივნისის N2-91 ბრძანებით დამტკიცებული მეთოდოლოგიის დანართი N1-ით დადგენილ ვადაში და მეთოდოლოგიის მე-10 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით დადგენილი პროცედურების დაცვით არ იყო განხორციელებული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება, ასევე, სკოლის მიერ სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესი არ იყო დასრულებული, სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები არ იყო საჯარო. შესაბამისად, ვერ შეაფასეს თუ რამდენად იქნებოდა გამოყენებული სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. მე-3 სტანდარტთან მიმართებით გამოვლენილ ხარვეზთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ 16 წლის ასაკს მიღწული მოსწავლის თანხმობა არ იყო მიღებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მუხლის თანახმად. ექსპერტის თქმით, სკოლა 2024 წლის 01 მარტიდან 2024 წლის აგვისტომდე (მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა მხრიდან თანხმობის მიღებამდე) მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებს ამუშავებდა მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით. რაც შეეხებოდა მე-4 სტანდარტს, აღნიშნული მიმართულებით გამოიკვეთა, რომ თვითმმართველობის არჩევნებში იზღუდებოდა VI, VII და VIII კლასის მოსწავლეთა უფლება, არჩეულიყვნენ თვითმმართველობის პრეზიდენტად, ექსპერტის თქმით, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებით დადგენილი შეზღუდვა ეწინააღმდეგებოდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ მოსწავლეთა უფლებების დაცვის ძირითად გარანტიებს. მე-2 სტანდარტთან მიმართებით გამოვლენილ ხარვეზთან დაკავშირებით კი, ექსპერტმა განმარტა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს ფიზიკურ აღზრდას 1-4 კლასებს ასწავლიდნენ დაწყებითი საფეხურის კლასების მასწავლებლები, რომელთა კვალიფიკაციაც არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამას გარდა, დაწყებით საფეხურზე მუსიკის ერთი მასწავლებლის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კერძოდ, დაწყებით კლასებში მუსიკის საათებს ატარებდა დაწყებითი კლასების მასწავლებელი, რომელსაც არ უდასტურდებოდა ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ ჯგუფში შემავალი რომელიმე საგნის სწავლების უფლება.

ექსპერტის თქმით, რეკომენდაციების გარდა, სკოლის მიმართ გაიცა რჩევები, რომელთა დეტალური აღწერაც მოცემული იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა არაფორმალური განათლების ხელშეწყობას, ექსპერტის თქმით, სკოლაში შექმნილი კლუბები და მოსწავლეებისთვის დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით შეთავაზებული სერვისები, მოსწავლეს აძლევდა შესაძლელობას გაცნობოდა მისთვის საინტერესო თემებს.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა საგანმანათლებლო სერვისების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, თუ რა იყო მიზეზი იმისა, რომ მონიტორინგის პროცესს სკოლა შეხვდა მოუმზადებელი, რადგან ოთხივე სტანდარტში დაფიქსირებული იყო შეუსაბამობები.
სკოლის დირექტორის, ლალი სალდაძის განმარტებით, ყველა რეკომენდაცია, რაც ექსპერტთა ჯგუფმა გასცა, სკოლას შესრულებული ჰქონდა. ასევე, მზად ჰქონდა ყველა საჭირო დოკუმენტაცია და შეეძლო მათი წარმოდგენა. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში, სკოლაში მიმდინარეობდა გარკვეული საკითხების დამუშავება და გაუმჯობესება.
სკოლის დირექტორის მრჩეველმა, ნოდარ ანგურიძემ, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით განმარტა, რომ სკოლას სამოქმედო გეგმების განხორციელების ყველა ანგარიში წარმოდგენილი ჰქონდა დაწესებულების ვებ-გვერდზე. მასწავლებელთა კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, მისი თქმით, წარსულში ეროვნულ სასწავლო გეგმაში მითითებული იყო, რომ 1-4 კლასის იმ პედაგოგებს, რომლებიც ფიზიკური აღზრდის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ან მუსიკის სწავლების მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება ჰქონდათ, ეძლეოდათ უფლება აღნიშნული მიმართულებების სწავლების. მისი განმარტებით, ეროვნულ სასწავლო გეგმაში შევიდა ცვლილება და სკოლას სწორედ ცვლილებებამდე ჰყავდა დასაქმებული უსტატუსო მასწავლებლები. რაც შეეხებოდა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე 16 წლის ასაკს მიღწეული მოსწავლის თანხმობის ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით დადგენილი წესით მიღებას, ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და შემუშავებული ჰქონდათ შესაბამისი დოკუმენტაციაც. მისი მოსაზრებით, აღნიშნული არ იყო ხარვეზი და შესაძლებელი იყო მისი რჩევის სახით გაცემა ექსპერტთა ჯგუფის მიერ. აქვე, იმ ხარვეზთან დაკავშირებით, რომ თვითმმართველობის პრეზიდენტი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ საშუალო საფეხურის მოსწავლე, ნოდარ ანგურიძის თქმით, დაწესებულების წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ საშუალო საფეხურის მოსწავლეს ექნებოდა ის კომპეტენცია, რაც საჭირო იყო თვითმმართველობის პრეზიდენტობისთვის, მიუხედავად ამისა, შესაბამისობის გეგმაში სკოლამ გაწერა, რომ გადაიხედებოდა აღნიშნული საკითხიც.
ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ, აღნიშნა, რომ პასუხისმგებელ პირებს ნამდვილად ჰქონდათ სამოქმედო გეგმის შესრულებული ანგარიში, თუმცა სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე არ ამოწმებდა თითოეული აქტივობის სტატუსს. გარდა ამისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და პერსონალურ მონაცემთა ოფიცერის ყოლას შორის იყო დიდი სხვაობა და იმ შემთხვევაში, როდესაც ირღვეოდა მოსწავლეთა უფლება, ვერ გასცემდნენ რჩევას.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, მიმართა ექსპერტს, დაესახელებინა კონკრეტული ფაქტი მოსწავლეთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით.

ექსპერტის, ზვიად ბერიძის განმარტებით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ მოქმედი კანონმდებლობა ამოქმედდა 2024 წლის მარტიდან, რომელიც მოიაზრებდა, რომ მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე სკოლას უნდა მიეღო მშობლების თანხმობა და ასევე, 16 წლის ასაკს მიღწეული მოსწავლის თანხმობაც.
სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას მშობელი ადასტურებდა ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროს, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ, შეიმუშავეს ცალკე დოკუმენტაცია და საბჭოს დროისთვის ყველა დოკუმენტი ჰქონდათ მოწესირგებული. მასწავლებელთა კომპეტენციასთან დაკავშირებით კი, აღნიშნა, რომ მუსიკის მასწავლებელს ჰქონდა დაწყებითი კლასის მასწავლებლის დიპლომი და იგი 9 წელი ასწავლიდა მუსიკალურ სკოლაში. რაც შეეხებოდა მოსწავლეთა თვითმმართველობას, ლალი სალდაძემ აღნიშნა, რომ სკოლის ყველა წარმომადგენელი აქტიურად იყო ჩართული სასკოლო ღონისძიებებში და ხდებოდა ყველა მოსწავლის ინტერესის გათვალისწინება და არ ირღვეოდა მათი უფლებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:05
დასრულების დრო - 17:35

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის (ს/კ: 212917174) მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 17:38 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

ელექტრონული ფაქსიმილე